

დამტკიცებულია სასახლის დირექტორის 2016 წლის 28 დეკემბრის №79 ბრძანებით

ნორჩ მხაზველთა და არქიტექტორთა

54-ე რესპუბლიკური კონკურსის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ნორჩ მხაზველთა და არქიტექტორთა 54-ე რესპუბლიკური კონკურსის დებულება

კონკურსის ჩატარების მიზანი:

ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის და ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად ტარდება ნორჩ მხაზველთა და არქიტექტორთა კონკურსი, რომელიც ხელს უწყობს მოზარდებში სი-ვრცითი აზროვნების, ლოგიკური მსჯელობისა და შემეცნებითი უნარების განვითარებას, საინჟინრო და კომპიუტერული გრაფიკის სწავლების დონის ამაღლებას.

კონკურსის ჩატარების ვადები და პირობები:

- კონკურსი ტარდება ორ ტურად;
პირველი — დასწრებული,
მეორე — დაუსწრებელი.
I ტური ტარდება – 2017 წლის 23 აპრილს
II ტური – გამოფენა, დაჯილდოება 2017 წლის 4 ივნისს.
 - I და II ტური თბილისელ მოსწავლეთათვის ჩატარდება ა(ა)იპ “მოსწავლე -ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში”;
 - I ტური რაიონის მოსწავლეთათვის ჩატარდება ადგილზე სკოლებში.
 - II ტური – თბილისში ა(ა)იპ “მოსწავლე - ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში”.
- კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ნებისმიერი ტიპის სკოლის მოსწავლეს;
- კონკურსში მონაწილე მოსწავლეს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საინჟინრო გრაფიკაში, არქიტექტურაში ან ორივეში ერთდრო-ულად;
- საკონკურსო ნახაზებში უნდა ჩანდეს მოსწავლის თეორიული მომზადება საინჟინრო გრაფიკაში, მისი უნარ-ჩვევები ნახაზების სტანდარტული წესით შესრულებასა და გრაფიკული გამოსახულების აგების კულტურაში;
- არქიტექტურით დაინტერესებულმა გამარჯვებულმა მოსწავლეებმა გამოფენაზე უნდა წარმოადგინონ სხვადასხვა თემატიკის შემცველი ორიგინალური ნაშრომი და მაკეტი;
- საგამოფენო ნახაზი სრულდება A3 ფორმატის სახაზავ ფურცელზე, საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ფურცლის გაზრდა;

7. ყველა ნახაზი სრულდება ფანქრით, შეიძლება საგამოფენო ნახაზების შესრულება ტუშითაც;
8. მოდელი ძირითადად მზადდება მუყაოსგან, დეტალის ზედაპირის განფენის მიხედვით;
9. სასურველია საგამოფენოდ ხელით შესრულებული ნახაზების გვერდით წარმოადგინონ კომპიუტერულ გრაფიკაში შესრულებული ნახაზებიც.

I ტური ითვალისწინებს:

1. VIII კლასელთათვის – I სირთულის ფიგურის თვალსაჩინო გამოსახულებიდან ხედებისა და აქსონომეტრიის აგებას;
2. IX – X კლასელთათვის – III სირთულის ფიგურის მოცემული ორი ხედის მიხედვით მესამე ხედის და აქსონომეტრიული გეგმილის აგებას;
3. XI – XII კლასელთათვის – III სირთულის ფიგურის მოცემული ორი ხედისა და აქსონომეტრიული გეგმილის აგებას ჭრის გამოყენებით.

II ტური ითვალისწინებს:

1. საგამოფენო მასალების გამოფენა – დათვალიერებას და შეფასებას;
2. გამარჯვებულ მოსწავლეთა დაჯილდოებას.

კონკურსის ამოცანებს ადგენს საორგანიზაციო კომიტეტი:

რეგიონებში კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფენ ადგილობრივი ხელშემწყობი კომიტეტები, რომელთაც ევალებათ საკონკურსო ამოცანების შედგენა დებულების მოთხოვნის მიხედვით.

რეგიონების შედეგები გადაეგზავნება კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტს.

კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცემათ:

1. გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრიზი

ჯილდოვდებიან XII კლასის მოსწავლეები, რომლებმაც კონფერენციაზე მიიღეს საუკეთესო შეფასება, კონკურსში – უმაღლესი (15 ქულა), წარმოადგინეს

ორიგინალური საგამოფენო მასალა და IX – XI კლასებში – მიიღეს ტექნიკური უნივერსიტეტის დიპლომი.

გიორგი ნიკოლაძის პრიზის მფლობელი მოსწავლეები ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში განთავისუფლდებიან საინჟინრო გრაფიკის პირველი საკონტროლო სამუშაოდან და პირველ სემესტრში ხაზვის სწავლებისაგან.

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიპლომი

ჯილდოვდებიან – IX – X კლასის მოსწავლეები, რომლებიც კონკურსზე შეფასდებიან უმაღლესი ქულით — (15), მიიღებენ მონაწილეობას კონფერენციაში და წარმოადგენენ საგამოფენო მასალას.

3. ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დიპლომი

ჯილდოვდებიან IX – XII კლასის მოსწავლეები, რომლებიც კონკურსში მიიღებენ 14 ქულას და VIII კლასის მოსწავლეები, რომლებსაც მიღებული ექნებათ 15 ქულა

4. ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სიგელი

ჯილდოვდებიან VIII –XI კლასის მოსწავლეები, რომლებიც კონკურსში მიიღებენ 13–14 ქულას.